

სააქციო საზოგადოება „ბამზის ნართი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის  
დასკვნა

2016 წლის 31 დეკემბერი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების დროს	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2 - 4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8 - 9
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	10

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების დროს  
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

---

შემდეგი განცხადება, რომელიც უნდა იქნას წაკითხული, დამოუკიდებელ აუდიტორებთან ერთად (მათი პასუხისმგებლობა განხილულია დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნაში, რომელიც მოცემულია გვერდებზე 2-4), მიზნად ისახავს დამოუკიდებელი აუდიტორების და მენეჯმენტის პასუხისმგებლობების განსაზღვრას სს „ბამბის ნართი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მისი საქმიანობის შედეგების, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებების სამართლიანად მომზადებაში 2016 ფინანსური წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- შეარჩიოს შესაბამისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოამზადოს გონივრული დასკვნები და შეფასებები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ბიზნესის უწყვეტობის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუსაბამოა ვივარაუდოთ, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შეიმუშავოს, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა მთელ კომპანიაში;
- შეინახოს სააღრიცხვო ჩანაწერები, რომელშიც შესაბამისად გამოჩნდება მიმდინარე პერიოდში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და რომელიც უზრუნველყოფს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს IFRS-ს;
- შეინახოს სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- განახორციელოს ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიის აქტივების დაცულობას;
- გამოავლინოს და თავიდან აიცილოს თაღლითობები, შეცდომები და სხვა დარღვევები.

2016 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 13 მაისს

---

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**

---

**დირექტორი**

13 მაისი, 2017

13 მაისი, 2017

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართის“ აქციონერებს:

ჩვენ ჩავატარეთ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სს „ბამბის ნართის“ (შემდგომში- „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს ("ფინანსური ანგარიშგება"). აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

### *ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

მენეჯმენტი პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS), ასეთი პასუხისმგებლობა მოიცავს უნებლიე, თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვას და განხორციელებას.

### *აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS). ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები და აუდიტი დავგეგმოთ და ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით, იმის თაობაზე, რომ ფინანსურ ანგარიშგებში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

აუდიტი ითვალისწინებს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომელიც გამიზნულია აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებაზე ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხების და განმარტებების თაობაზე. აუდიტის პროცედურების შერჩევა დამოუკიდებელია აუდიტორთა მოსაზრებებზე, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკების შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშავოს ვითარების და გარემოების შესატყვისი ჩასატარებელი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს კომპანიის შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისთვის. აღნიშნულ მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ვვარაუდობთ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

### ***პირობითი დასკვნის საფუძველი***

კომპანიამ პირველად 2006 წელს წარადგინა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და ფასს 1-ის - ფინანსური ანგარიშგების პირველად გამოყენების შესაბამისად განახორციელა აუცილებელი კორექტირებები. კომპანიამ ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გამოიყენა ღირებულებით აღრიცხვის მეთოდი, ხოლო ღირებულებად მოაქვს წინა წლის ნაშთები (ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწოდება ვერ ხერხდება კომპანიის მხრიდან).

ზემოაღნიშნული მეთოდით განსაზღვრული სამართლიანი ღირებულება შეიძლება არ ასახავდეს ძირითადი საშუალებების რეალურ ღირებულებას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ვინაიდან სამართლიანი ღირებულების გამოთვლა მოხდა დამტკიცებული კოეფიციენტების გამოყენებით და არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს, რომლებიც არსებობდა შეფასების თარიღში.

ძირითადი საშუალებების შინაარსიდან გამომდინარე ჩვენ ვერ მოვახერხეთ დაგვედგინა აღნიშნულის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ეს იქონიებდა ზეგავლენას 2015 წლის ნაშთებზეც.

### ***პირობითი დასკვნა***

ჩვენი მოსაზრებით, გარდა *პირობითი დასკვნის საფუძველებში* ჩამოთვლილი შესაძლო მიზეზებისა, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სს „ბამბის ნართის“ ფინანსურ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS).

### ***მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი პარაგრაფი***

კომპანია წლების განმავლობაში გადიოდა ზარალზე, რის შედეგადაც აკუმულირებული ზარალი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 230,528 ლარს (2015 წლის 31 დეკემბერი - 100,307 ლარი).

თუ არსებული გარემოება არ მოგვარდება, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს კომპანიის მომავალში ფუნქციონირების საკითხი.

ჩვენი მოსაზრება ამ გარემოებების გამო არ არის პირობითი.

თბილისი, საქართველო

13 მაისი, 2017

სს “ზამზის ნართი”  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	5	580,850	579,889
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	52,217
<i>მიმდინარე აქტივები</i>		<b>155,151</b>	<b>233,188</b>
სასქონლო მატერიალური მარაგები	6	11,205	7,652
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	49,169	151,583
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	94,777	73,953
<b>სულ აქტივები</b>		<b>736,001</b>	<b>865,294</b>
<b>კაპიტალი და რეზერვები</b>			
სააქციო კაპიტალი		926,304	926,304
აკუმულირებული (ზარალი)/მოგება		(230,528)	(100,307)
გადაფასების რეზერვი		16,860	16,860
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>712,636</b>	<b>842,857</b>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		<b>23,365</b>	<b>22,437</b>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	23,365	22,437
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>23,365</b>	<b>22,437</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>736,001</b>	<b>865,294</b>

ხელმოწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე  
 13 მაისი, 2017  
 თბილისი, საქართველო

დირექტორი  
 13 მაისი, 2017  
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 10-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 2-3 გვერდებზე.

სს "ბამბის ნართი"  
 მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	13	216,737	186,886
ხელფასის ხარჯები	11	(295,746)	(86,543)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(57,346)	(81,857)
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>(136,355)</b>	<b>18,486</b>
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		13,755	6
სხვა ხარჯი	12	(55,085)	(286,480)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	99,681	154,789
<b>მოგება/ზარალი დაბეგრამდე</b>		<b>(78,004)</b>	<b>(113,199)</b>
მოგების გადასახადი	14	(52,217)	42,988
<b>წლის წმინდა მოგება/(ზარალი)</b>		<b>(130,221)</b>	<b>(70,211)</b>

ხელმოწერი პირები::

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე  
 13 მაისი, 2017  
 თბილისი, საქართველო

დირექტორი  
 13 მაისი, 2017  
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 10-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 2-3 გვერდებზე

სს “ზამზის ნართი”  
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
<b>31 დეკემბერი, 2014</b>	<b>926,304</b>	<b>8,124</b>	<b>934,446</b>
სააქციო კაპიტალის გაზრდა (შემცირება)	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-	(70,211)	(70,211)
განაწილებული დივიდენდი	-	(21,378)	(21,378)
<b>31 დეკემბერი, 2015</b>	<b>926,304</b>	<b>(83,447)</b>	<b>842,857</b>
სააქციო კაპიტალის გაზრდა (შემცირება)	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-	(130,221)	(130,221)
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
<b>31 დეკემბერი, 2016</b>	<b>926,304</b>	<b>(213,668)</b>	<b>712,636</b>

ხელმოწერი პირები:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
13 მაისი, 2017	13 მაისი, 2017
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 10-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 2-3 გვერდებზე.



სს “ბამბის ნართი”  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2016 წლის 31 დეკემბერი

	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მყიდველებისა და დამკვეთისგან მიღებული ფულადი სახსრები	255,274	240,721
გადახდილი ხელფასები	(242,433)	(69,221)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(97,237)	(114,242)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(231,925)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(10,427)	(78,965)
<b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(94,823)</b>	<b>(253,632)</b>
<b>ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შექმნა	-	(35,259)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	102,215	124,380
<b>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>102,215</b>	<b>89,121</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>		
გადახდილი დივიდენდები	(322)	(23,891)
წმინდა საკურსო სხვაობა	13,754	-
<b>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>13,432</b>	<b>(23,891)</b>
<b>ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>	<b>73,953</b>	<b>262,355</b>
<b>ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>94,777</b>	<b>73,953</b>

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დირექტორი

13 მაისი, 2017

13 მაისი, 2017

თბილისი, საქართველო

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 10-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 2-3 გვერდებზე.

სს "ბამბის ნართი"  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2016 წლის 31 დეკემბერი

## 1. შესავალი

### *კომპანია და მისი ოპერაციები*

სს "ბამბის ნართი" (კომპანია)

კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შექმნილია ყოფილი სართავი ფაბრიკის ბაზაზე და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 1996 წლის 25 ოქტომბერს გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს #1-5-22 დადგენილებით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 200003085. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ვახტანგ ნინუას ქუჩა #3. კომპანიის ხელმძღვანელია თეონა ლებანიძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.

### *დამფუძნებლები*

კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ჰყავს 868 აქციონერი ფიზიკური პირი და რომლის აქციონერთა რეესტრს აწარმოებს სს „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი“. გამოშვებული და განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს 712,541 ცალს.

### *საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა*

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს არის მეტად გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი/ლარი	2.6468	2.3949
1 ევრო/ლარი	2.7940	2.6169

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სალიცხვო მეთოდები

### *განცხადება შესაბამისობის თაობაზე*

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

## სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2016 წლის 31 დეკემბერი

### გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

### კომპანიის სამომავლო ფუნქციონირების საკითხი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირების განგრძობითობის კონცეფციის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტების არსებული მაკროეკონომიკური გარემო, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

კომპანია რამდენიმე წლის განმავლობაში გადის ზარალზე, რის შედეგადაც დაუგროვდა მნიშვნელოვანი ოდენობის ზარალი.

კომპანიას არ გააჩნია რამე სახის ფინანსური ატივები ან ვალდებულებები.

*უცხოური სავალუტო ოპერაციები.* კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იგივე სადაც ის ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური და საპროცენტო ვალუტა არის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

### ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულით კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთებისგან.

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირადპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

**სს “ზამზის ნართი”**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

**2016 წლის 31 დეკემბერი**

მოგება და ზარალი რომელიც წრმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯებიკაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

**ცვეთა**

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შემცირებულ ნაშთთა მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	<b>სასიცოცხლო პერიოდი</b>
შენობა ნაგებობები	40-80 წელი
მანქანა დანადგარები	10-40 წელი
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5-10 წელი

**შემოსავლების აღიარება**

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.**

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და გადაფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

**მოგების გადასახადები.**

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული აქტივის საბალანსო ღირებულება გადახედილ იქნება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შემცირდება იმის საფუძველზე, რომ აღარ არის ალბათობა საკმარისი დასაბეგრი მოგების წარმოშობისა, რათა მიეცეს აქტივის უკან მიღების ნაწილობრივი ან სრული შესაძლებლობა.

გადავადებული გადასახადები განისაზღვრება იმ საგადასახადო ნორმით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება საანგარიშგებო პერიოდში. გადავადებული საგადასახადო აქტივი

სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2016 წლის 31 დეკემბერი

აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავალი მოგების გასაქვითად.

### სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

### საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის სააქციო კაპიტალი მოიცავს კომპანიის მიერ გამოცემულ აქციებს.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

**თავდაპირველი აღიარება** დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

**ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა** კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება** კომპანიის ხელმძღვანელობა აკეთებს გადავადებული მოგების შეფასებას. გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიქმნება ძირითადად ძირითადი საშუალებებიდან, ასევე არამატერიალური აქტივებიდან, სესხებიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, გრანტიდან დაკავშირებული აქტივიდან, გრანტიდან დაკავშირებული შემოსავლიდან და რესტრუქტურირებული ვალდებულებებიდან წარმოქმნილი სხვაობებიდან. ეს მაჩვენებელი ასახულია კომპანიის შესადარისი წლის მონაცემებში, მიმდინარე წელს საქართველოს კანონმდებლობით მიღებული ცვლილებების შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება განულებულია.

სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2016 წლის 31 დეკემბერი

#### 4. ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

*ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან.*

- IAS 16 „ძირითადი საშუალებები“ და IAS 38 „არამატერიალური აქტივები“ - რომელიც მოიცავს ცვეთის და ამორტიზაციის მეთოდების განსაზღვრას.
- IAS 7 (გამოიცა 2016 წლის ივარში) - ცვლილებები შეეხება პერიოდს 2016 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ, რომელიც აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების მკითხველისთვის მიწოდებულ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური აქტივობების კუთხით.
- IAS 19 *თანამშრომელთა სარგებელი*: ცვლილებები ეხება პერიოდს დაწყებული 2016 წლის 1 იანვრიდან და განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული ბონდები, რომლებიც გამოიყენება თანამშრომელთა შემდგომი სარგებლის დისკონტირებული პროცენტის გამოთვლისთვის, უნდა იყოს წარმოდგენილი იმავე ვალუტაში, რომელშიც წარმოდგენილია თანამშრომელთა სარგებელი.
- IFRS 7 - განსაზღვრავს სერვისის ხელშეკრულება შემდგომში თუ განაგრძობს რაიმე სახის ჩართულობას კომპანიის აქტივებში, სტანდარტი ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან.

*სტანდარტები, დანართები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული და რომელთა ადაპტირებაც ჯერ არ მომხდარა კომპანიის მიერ*

- IAS 12 (გამოიცა 2016 წლის ივარში) – ცვლილებები ეხება პერიოდს 2017 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ, და განმარტავს თუ როგორ უნდა იქნას აღიარებული გადავადებული მოგების აქტივი სამართლიანი ღირებულებით გაზომილი სასესხო ვალდებულებებისთვის.
- IAS 16 – „ძირითადი საშუალებები“-ს და IAS 38 „არამატერიალური აქტივები“-ს სტანდარტების თანახმად შემოსავალი, რომელსაც კომპანია იღებს, გავლენას ახდენს მის საოპერაციო საქმიანობაზე (კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში აქტივები მხოლოდ საქმიანობის ნაწილს წარმოადგენენ). როგორც წესი, შემოსავალზე დამყარებული ცვეთის გაანგარიშების მეთოდი ძირითადი საშუალებებისთვის არ გამოიყენება, მხოლოდ გარკვეული შეფასების შემთხვევაში შეიძლება გამოიყენებოდეს არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის.
- IAS 27 „ფინანსური ანგარიშის ცალკე წარდგენა“: კაპიტალის მეთოდის გამოყენება ფინანსური ანგარიშის ცალკე წარდგენისას.
- IFRS 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს IAS 39-ს (და ყველა წინა ვერსიებს IFRS 9) სტანდარტი ეფექტური იქნება 2018 წლის 1 იანვრიდან, ახალ სტანდარტს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვება „მოსალოდნელი ზარალი“ ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 აწარმოებს ახალ ჰეჯირების ანგარიშს.

კომპანიამ უნდა შეაფასოს ახალი სტანდარტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სს “ბამბის ნართი”  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2016 წლის 31 დეკემბერი

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა დანადაგარები	სხვა	სულ
<i>ღირებულება</i>				
<b>დეკემბერი 31 2014</b>	<b>1,029,427</b>	<b>229,025</b>	<b>18,134</b>	<b>1,276,586</b>
მატება	29,623	-	5,636	35,259
კლება	(99,914)	-	-	(99,914)
<b>დეკემბერი 31 2015</b>	<b>959,136</b>	<b>229,025</b>	<b>23,770</b>	<b>1,211,931</b>
მატება	13,593	6,728	175	20,496
კლება	(2,823)	-	-	(2,823)
<b>31 დეკემბერი 2016</b>	<b>969,906</b>	<b>235,753</b>	<b>23,945</b>	<b>1,229,604</b>
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>				
<b>31 დეკემბერი 2014</b>	<b>(408,269)</b>	<b>(202,742)</b>	<b>(1,663)</b>	<b>(612,674)</b>
მიმდინარე წელს მიკუთვნებული	(15,759)	(2,080)	(1,529)	(19,368)
გაყიდვის ელიმინაცია	-	-	-	-
<b>31 დეკემბერი 2015</b>	<b>(424,028)</b>	<b>(204,822)</b>	<b>(3,192)</b>	<b>(632,042)</b>
მიმდინარე წელს მიკუთვნებული	(13,163)	(2,090)	(1,459)	(16,712)
გაყიდვის ელიმინაცია	-	-	-	-
<b>დეკემბერი 31 2016</b>	<b>(437,191)</b>	<b>(206,912)</b>	<b>(4,651)</b>	<b>(648,754)</b>
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
<b>დეკემბერი 31 2015</b>	<b>535,108</b>	<b>24,203</b>	<b>20,578</b>	<b>579,889</b>
<b>დეკემბერი 31 2016</b>	<b>532,715</b>	<b>28,841</b>	<b>19,294</b>	<b>580,850</b>

სს “ბამბის ნართი”  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2016 წლის 31 დეკემბერი

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
მასალები	5,362	115
სამშენებლო ნარჩენები	5,843	7,537
	<u><b>11,205</b></u>	<u><b>7,652</b></u>

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
სავაჭრო მოთხოვნები	160,348	157,873
დაკლებული გაუფასურების დანაკარგი	(119,738)	(115,480)
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	4,000	2,500
წინასწარგადახდილი გადასახადები	4,559	106,690
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	<u><b>49,169</b></u>	<u><b>151,583</b></u>

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
ფული სალაროში	2,760	615
საბანკო ანგარიშები	92,017	73,338
	<u><b>94,777</b></u>	<u><b>73,953</b></u>

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც ურისკო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბანკი, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები საიმედო და ცნობილი ქართული საკრედიტო დაწესებულებაა.



სს “ბამბის ნართი”  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2016 წლის 31 დეკემბერი

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
სავაჭრო ვალდებულებები	4,251	3,047
ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ	18,091	18,430
სხვა ვალდებულებები	<u>1,023</u>	<u>960</u>
	<u><b>23,365</b></u>	<u><b>22,437</b></u>

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახედვა.

10. სხვა-საოპერაციო ხარჯები

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
კომუნალური ხარჯები	481	451
სარემონტო და ტექნიკური მომსახურება	39,596	61,757
ტრანსპორტირების ხარჯები	300	-
ოფისის ხარჯები	257	281
ცვტა და ამორტიზაცია	<u>16,712</u>	<u>19,368</u>
	<u><b>57,346</b></u>	<u><b>81,857</b></u>

11. ხელფასები და სხვა სარგებელი

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
ხელფასის ხარჯები	95,871	62,543
პრემია	<u>199,875</u>	<u>24,000</u>
	<u><b>295,746</b></u>	<u><b>86,543</b></u>

სს “ბამბის ნართი”  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2016 წლის 31 დეკემბერი

12. სხვა ხარჯები

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
კომუნიკაციის ხარჯები	483	492
საკონსულტაციო ხარჯები	15,786	14,920
საექვო ვალების ჩამოწერა	4,258	115,480
სხვა საგადასახადო ხარჯები	23,582	25,962
საბანკო ხარჯები	3,622	516
დემონტაჟის ხარჯები	-	66,780
თანამშრომლებზე გაწეული სარგებელი	5,972	54,713
სხვა ხარჯები	1,382	7,617
	<u><b>55,085</b></u>	<u><b>286,480</b></u>

13. ამონაგები

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
იჯარით მიღებული შემოსავალი	185,804	155,068
სერვისით მიღებული შემოსავალი	30,933	31,818
	<u><b>216,737</b></u>	<u><b>186,886</b></u>

14. მოგების გადასახადი

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
მოგების გადასახადის ხარჯი	52,217	-
გადავადებული მოგების ხარჯი/(შემოსავალი)	-	(42,988)
	<u><b>52,217</b></u>	<u><b>(42,988)</b></u>

15. სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი

	<u>დეკემბერი 31, 2016</u>	<u>დეკემბერი 31, 2015</u>
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან შემოსავალი	99,392	121,197
სხვა შემოსავალი	289	33,592
	<u><b>99,681</b></u>	<u><b>154,789</b></u>

სს “ბამბის ნართი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2016 წლის 31 დეკემბერი

#### 16. დაკავშირებული მხარეები

IAS-24 სტანდარტის მიხედვით კომპანიას არ აქვს განხორციელებული დაკავშირებულ მხარეებთან რაიმე ტრანზაქცია.

#### 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არსებითი გავლენა ექნება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.